ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01/108

ქ. თბილისი

1 ოქტომბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ბესიკ ტოგონიძეს სახით და მეორე მხრივ, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნიკა ახალბედაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე.

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ - „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

1.6 „ვებ გვერდი" ნიშნავს - შემდგომში ვებგვერდს (www.matsne.gov.ge), რომლის მეშვეობითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ღებულობს ელექტრონული სისტემით სარგებლობის მომსახურებას.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „მაცნეს" ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების, საინფორმაციო სისტემით სარგებლობის უფლების შესყიდვა. (CPV64200000)

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 360.00 (სამას სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება 8.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

3.3. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით სარგებლობის პირობები და საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 06 დეკემბრის №225 ბრძანების საფუძველზე;

4.2. მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლება განკუთვნილია 4 (ოთხი) მომხმარებელზე.

5. მომსახურების შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა იყოს ინტენსიური, რეგულარული ხასიათის და პასუხობდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6. ვებ გვერდით სარგებლობის პირობები და ვადები

6.1. ვებგვერდით სარგებლობა განხორციელდება მაცნეს ვებგვერდის საშუალებით, მომხმარებლის სახელ(ებ)ის (user name) გააქტიურებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში.

6.2 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება დასტურდება მომხმარებლის სახელისა (user name) და პაროლის გადაცემით მომსახურების გაწევითა და წინამდებარე ხელშეკრულების 16.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის სახაზინო რეკვიზიტების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (ჩაბარებიდან) 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს უფლებამოსილი პირი.

8.4. დაფინანსების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

9.1.1. განახორციელოს მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვება.

9.1.2 უზრუნველყოს, მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამართული მიწოდება.

9.1.3. უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

9.1.4. ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე გადასცეს (აქტივიზაცია) შემსყიდველს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის სახელი (user name), პაროლი, ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვება დანართი №1-ის შესაბამისად.

9.1.5 აღკვეთოს მომხმარებლის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ნებისმიერი არასანქცირებული შეღწევა.

9.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

9.2.1. კონფიდენციალურად შეინახოს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობისათვის მომხმარებლის სახელი (user name) - პაროლი, უზრუნველყოს მისი დაცვა და არ დაუშვას მესამე პირთათვის მისი გადაცემა (**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ სისტემიდან გამოსვლის გარეშე პარალელურ რეჟიმში მომხმარებლის სახელით განხორციელდება სხვა კომპიუტერული მოწყობილობიდან სისტემაში შესვლა, მომხმარებელი სისტემის მეშვეობით მიიღებს გაფრთხილებას და პარალელურ რეჟიმში მესამე ასეთი ქმედებისთანავე ამოქმედდება ვებგვერდზე მომხმარებლის სახელით სარგებლობის საათობრივი შეზღუდვა);

9.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს „მიმწოდებლთან" ანგარიშწორება ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;

9.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

9.2.4. თავისი შეხედულებისმებრ შეცვალოს მისთვის გადაცემული პაროლ(ებ)ი, და უზრუნველყოს მისი დაცვა;

9.2.5 წარუდგინოს მიმწოდებელს დაზუსტებული და სრული ინფორმაცია დანართი №1-ის შესაბამისად.

10. მხარეთა უფლებები

10.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

10.1.1. შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

10.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

10.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

10.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს, მისი აღმოფხვრის მიზნით;

10.2.2. მოითხოვოს მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული ნორმატიული აქტების გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის გამოწვევა განპირობებულია უშუალოდ მიმწოდებლის ბრალეულობით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ასევე ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორით რაც უშუალოდ არ მომდინარეობს მიმწოდებლისგან;
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;
12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;
12.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით;
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით;
14.2 იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომხმარებელთა რაოდენობა, ხოლო გაზრდის შედეგად საერთო მომხმარებლების რაოდენობა დაექვემდებარება სხვა საფასურის განაკვეთს, ყოველი ახალი მომხმარებლისათვის საფასური განისაზღვრება ახალი განაკვეთის მიხედვით, ხოლო უკვე რეგისტრირებული მომხმარებლების საფასურის განაკვეთი არ შეიცვლება და გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება;
14.3 მომხმარებელთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში არსებული საფასურით დადგენილი საერთო ღირებულების სხვაობა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.1%**-ის ოდენობით;
15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
15.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **1%**-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

16. ინსპექტირების პირობები

16.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

16.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურების ინსპექტირება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება დასტურდება ბეჭდით დამოწმებითა და მხარეთა ხელმოწერებით.

17.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც მხარეთა მიერ დამოწმებულია ელექტრონულად კვალიფიციური ხელმოწერით/შტამპით.

მუხლი 19. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20
საიდენტიფიკაციო კოდი №216433287
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კ №TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

ბესიკ ტოგონიძე

„მიმწოდებელი“

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“
მისამართი: ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქ. №2
საიდენტიფიკაციო კოდი: 203862622
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კ №TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707407076

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს
თავმჯდომარე

ნიკა ახალბედაშვილი

Rustavi City Municipality
Digitally signed by Rustavi City Municipality
Date: 2019.10.01 13:44:35 +04'00'

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
Date: 2019.10.01 14:37:05 +04'00'

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი სამსახურის ხელმძღვანელი: ლევან კავთიაშვილი

დანართი №1

№	სახელი, გვარი	მომხმარებლის სახელი (user name)	e-mail	სტანდარტული პაროლი	ერთეულის ღირებულება (ლარი)	
1	Eka papuashvili	eka papuashvili	epapuashvili72@gmail.com	2019	90	ახალი მომხმარებელი
2	Lia metreveli	Lia metreveli	Lia.metreveli.69@mail.ru	2019	90	ახალი მომხმარებელი
3	Sopio demuradze	s.demuradze	workmail771@gmail.com	2019	90	ახალი მომხმარებელი
4	Eliso memanishvili	eliso_elisss	eliso.memanishvili@gmail.com	2019	90	ახალი მომხმარებელი
				სულ ჯამი:	360.00	

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ლევან კავთიაშვილი

საინფორმაციო გვერდი

მომხმარებელთა რაოდენობა	პერიოდი	ერთეულის ფასი	ფასდათმობა (%)	ერთეულის ფასი ფასდათმობით
1-დან 10-ის ჩათვლით	1 თვე	30 ლარი		30 ლარი
	6 თვე	180 ლარი	10%	162 ლარი
	12 თვე	360 ლარი	20%	288 ლარი
11-დან 50-ის ჩათვლით	1 თვე	20 ლარი		20 ლარი
	6 თვე	120 ლარი	10%	108 ლარი
	12 თვე	240 ლარი	20%	192 ლარი
51-დან 100-ის ჩათვლით	1 თვე	15 ლარი		15 ლარი
	6 თვე	90 ლარი	10%	81 ლარი
	12 თვე	180 ლარი	20%	144 ლარი
101- დან 300-ის ჩათვლით	1 თვე	10 ლარი		10 ლარი
	6 თვე	60 ლარი	10%	54 ლარი
	12 თვე	120 ლარი	20%	96 ლარი
301 - დან 500-ის ჩათვლით	1 თვე	7.5 ლარი		7,5 ლარი
	6 თვე	45 ლარი	10%	40,5 ლარი
	12 თვე	90 ლარი	20%	72 ლარი
1 ნორმატიული აქტის დათვალიერება (ჩამოტვირთვა)		2 ლარი		

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი

1 ოქტომბერი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-სგან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „მაცნეს“ ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების, საინფორმაციო სისტემით სარგებლობის უფლების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

ბესიკ ტოგონიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ლევან კავთიაშვილი